საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის

ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური დევნის აღძვრაზე უარის თქმის თაობაზე

მეხუთე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

ია გაბედავა - კოლეგიის თავმჯდომარე

არჩილ ჩოფიკაშვილი - კოლეგიის წევრი

ბესარიონ ბოხაშვილი - კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი: შ. ე.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 18.11.2019

საჩივრის რეგისტრაციის #138/19

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატების ი. ა.-ის /სიითი #4227/ და გ. გ.-ის /სიითი #2284/ მიმართ

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ ი. ა.-ისთვის და ადვოკატ გ. გ.-ისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი:

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2019 წლის 18 ნოემბერს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას გადმოეგზავნა საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ადვოკატთა უფლებათა დაცვის იმერეთის რეგიონული კომიტეტის თავმჯდომარის მარინა მანგოშვილის განცხადება თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად. ადვოკატმა შ. ე.-მა ადვოკატთა უფლებათა დაცვის კომიტეტს განცხადებით მიმართა ადვოკატების ირინა ამბროლაძის და გ. გ.-ის მხრიდან კოლეგიალობის პრინციპის შესაძლო დარღვევის თაობაზე.

1.2 ადვოკატ შ. ე.-ს განმარტებით, სასამართლოში მიმდინარე დავაში მისი ყოფილი მეუღლის - ნ. ვ.-ს ადვოკატები არიან ი. ა. და გ. გ., რომლებმაც დაარღვიეს მისი, როგორც ადვოკატის უფლებები.

1.3 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატებმა ი. ა.-მ და გ. გ.-მ კონსულტაცია გაუწიეს მის ყოფილ მეუღლეს და მიმართეს როგორც საგამოძიებო უწყებებს, ისე სასამართლოს. ადვოკატებმა მასთან, როგორც კოლეგასთან არ გადაამოწმეს ფაქტების ნამდვილობა და მოიქცნენ არაკოლეგიალურად, რაც გახდა მის წინააღმდეგ ქუთაისის საქალაქო სასამართლოში ადმინისტრაციული წარმოების დაწყების საფუძველი და შ. ე.-ს მიმართ გამოიცა შემაკავებელი ორდერი. მოგვიანებით, სააპელაციო სასამართლომ გააუქმა აღნიშნული ორდერი და ასევე საჩივრის ავტორი გამართლდა ოჯახში ძალადობის მუხლით მიმდინარე საქმეში.

1.4 მომჩივანის განმარტებით, კოლეგების არასწორი კონსულტაციის, გამოძიებასა და სასამართლოში საქმის წარმართვის გამო, როგორც ადვოკატს, შეელახა იმიჯი, პატივი, ღირსება, რის გამოც დაკარგა კლიენტები, განიცადა მორალური ზიანი და გახდა ალკოჰოლის ხშირი მომხმარებელი. ადვოკატებმა ი. ა.-მ და გ. გ.-მ ისარგებლეს ალკოჰოლის შედეგად გამოწვეული მისი უუნარობით და ყოფილმა მეუღლემ მიუტანა მას ხელშეკრულება, რომლის მიხედვით, შალვა ერისთავს მისთვის უნდა გადაეცა თავისი კუთვნილი სახლის 3/4 ნაწილი, ასევე ერთ-ერთ პუნქტად მითითებული იყო ხელმოწერის შედეგად სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტაზე. შ. ე.-მა ხელშეკრულების ეს პუნქტი აღიქვა, როგორც ულტიმატუმი და ხელშეკრულებას ხელი არ მოაწერა. მოგვიანებით სასამართლომ, რომელსაც ესწრებოდა შ. ე.-ს წარმომადგენელი ქონების ½ ნაწილი მიაკუთვნა ნ. ვ.-ს.

2. ადვოკატების პოზიცია:

2.1 2019 წლის 6 დეკემბერს ადვოკატმა ი. ა.-მ წარმოადგინა წერილობითი ახსნა–განმარტება და მოითხოვა დისციპლინური წარმოების შეწყვეტა, ვინაიდან უსაფუძვლოდ და დაუსაბუთებელად მიიჩნევს შ. ე.-ს გამოთქმულ პრეტენზიებს.

2.2 ადვოკატ ირინა ამბროლაძის განმარტებით, შ. ე.-ს განცხადების საფუძველზე ადვოკატთა უფლებათა დაცვის კომიტეტში განცხადების განხილვა დაიწყო 2019 წლის 13 სექტემბერს და დასრულდა 2019 წლის 07 ოქტომბერს. ი. ა.-მ ადვოკატ გ. გ.-სთან ერთად კომიტეტში წარადგინა არაერთი განცხადება და მტკიცებულება. გამოიკვეთა, რომ როგორც მას, ასევე ადვოკატ გ. გ.ს რაიმე ეთიკური დარღვევა არ ჩაუდენია და შ. ე.-ს განცხადებები უსაფუძვლო და დაუსაბუთებელი იყო. შემოწმების დროს თავად ადვოკატ შ. ე.-ს მხრიდან იყო საქართველოს ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მოთხოვნათა დარღვევა, როგორც მათ მიმართ, ასევე მისი ყოფილი მეუღლის მიმართ. შ. ე. ემუქრებოდა ადვოკატებს, რომ მოკლავდა მათ თუ გააგრძელებდნენ მისი ყოფილი მეუღლის დაცვას. ამავე საკითხზე 2019 წლის 16 სექტემბერს ადვოკატის უფლებათა დაცვის იმერეთის რეგიონალური კომიტეტის თავმჯდომარეს დამოუკიდებელი განცხადებით მიმართა შ. ე.-ს ყოფილმა მეუღლემ.

2.3 ადვოკატის უფლებათა დაცვის იმერეთის კომიტეტში წარდგენილ განმარტებაში ადვოკატები ი. ა. და შ. ე. აღნიშნავენ, რომ ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 21.03.2018 წლის განჩინებით შალვა ერისთავსა და ნ. ვ.-ს შორის სამოქალაქო საქმე დასრულდა მორიგება, რის თაობაზეც შალვა ერისთავს პრეტენზია არ გამოუთქვამს. ადვოკატებს კი მიაჩნიათ, როგორც ზოგადად ასევე ამ კონკრეტულ შემთხვევაშიც დავის მორიგებით დასრულება არის კონფლიქტის გადაწყვეტის ერთ-

ერთი საუკეთესო საშუალება, რაც ასევე ურჩიეს კლიენტს. ადვოკატები ასევე მიიჩნევენ, რომ სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიების მიმდინარეობის პარალელურად სავსებით დასაშვებად და მართლზომიერად უნდა ჩაითვალოს სამოქალაქო დავაში ერთი მხარის მიერ მეორე მხარისათვის იმის შეთავაზება, რომ თუ სამოქალაქო დავა მორიგებით დასრულდება, სისხლის სამართლის საქმეში დაზარალებული ბრალდებულის მიმართ დაიკავებს ჰუმანურ პოზიციას და აღარ მოითხოვს ბრალდებულის მკაცრად დასჯას. ეს მოსაზრება ემყარება იმ გარემოებას, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 217-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, პროკურორი ვალდებულია, საპროცესო შეთანხმების დადებამდე დაზარალებულთად გაიაროს კონსულტაცია და შეატყობინოს მას საპროცესო შეთანხმების დადება, რის შესახებაც პროკურორი ადგენს ოქმს. როდესაც დაზარალებულს აღარ აქვს რაიმე პრეტენზია ბრალდებულის მიმართ, ასეთ შემთხვევაში გაცილებით მეტია, როგორც საპროცესო შეთანხმების დადების, ისე შედარებით ლმობიერი განაჩენის გამოტანის ალბათობა.

II სამოტივაციო ნაწილი

3. ფორმალური წინაპირობების შემოწმება:

3.1 ადვოკატი ი. ა. არის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მოქმედი წევრი /სიითი #4227/, სპეციალიზაცია – საერთო.

3.2 ადვოკატი გ. გ. არის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მოქმედი წევრი /სიითი #2284/, სპეციალიზაცია – საერთო.

3.3 საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიამ შ. ე.-ს საჩივარი ადვოკატების ირინა ამბროლაძისა და გურამ გვენაცაძის მიმართ მიიღო 2019 წლის 18 ნოემბერს.

3.4 სადავო ქმედება განხორციელებულია 2019 წელს. „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 32.2 მუხლის შესაბამისად დაცულია ეთიკის კომისიისთვის მომართვის ვადა.

4. შემაჯამებელი დასკვნა

ეთიკის კომისიას მიაჩნია, რომ ადვოკატ ირინა ამბროლაძისა და გ. გ.-ის მიმართ არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა, რადგან მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს „ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის“ მე-7 და მე-10.1 მუხლებისა და „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების 30–ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

5. სამოტივაციო ნაწილი

5.1 ადვოკატ შ. ე.-ს პრეტენზიით ადვოკატებმა ი. ა.-მ და გ. გ.-მ მისი პროცესუალური მოწინააღმდეგე მხარის - ყოფილი მეუღლის ინტერესების დაცვის დროს დაარღვიეს კოლეგიალობის პრინციპი, რადგან არ გადაამოწმეს ფაქტები მასთან, კლიენტის ინტერესების სასარგებლოდ დაიწყეს მოქმედება, რამაც გამოიწვია მის წინააღმდეგ სამოქალაქო, ადმინისტრაციული და სისხლის სამართლის საქმის დაწყება. ასევე ადვოკატები სარგებლობდნენ შ. ე.-ს ალკოჰოლური

ზემოქმედებით გამოწვეული მდგომარეობით, რაც გამოიხატა მისი ყოფილი მეუღლის მხრიდან ხელშეკრულებაზე ხელმოწერის მოთხოვნაში, რომლის პუნქტები მიუღებელი იყო შ. ე.-სთვის.

5.2 საპროცესო კოლეგიამ იმსჯელა ადვოკატების ი. ა.-ის და გ. გ.-ის მხრიდან შემდეგი მუხლების შესაძლო დარღვევაზე:

„ადვოკატის პროფესიული ეთიკის კოდექსის“ მე-7 მუხლი: „ადვოკატი ვალდებულია პატივი სცეს კოლეგებს, არ შელახოს მათი ღირსება და დაიცვას პროფესიული ღირებულებები“.

„ადვოკატის პროფესიული ეთიკის კოდექსის“ 10.1 მუხლი: „ადვოკატი ვალდებულია პატივი სცეს კოლეგას“.

5.3 კოლეგიალობის პრინციპი გულისხმობს კოლეგების მიმართ პატივისცემას, პროფესიული ღირსების დაცვასა და პროფესიული სტანდარტების შესაბამისად მოქმედებას. ადვოკატმა უნდა იმოქმედოს თავისუფლად, ღირსეულად, კანონისა და ეთიკის წესების შესაბამისად, ის ვალდებულია არ შელახოს კოლეგის პატივი, ღირსება, საქმიანი რეპუტაცია, არ დააზიანოს კოლეგის კლიენტის კანონიერი უფლებები და დაიცვას კოლეგიალობის პრინციპთან დაკავშირებული სხვა პროფესიული ვალდებულებები.

5.4 კოლეგიალობის პრონციპი შეიძლება კონკურენციაში მოვიდეს სხვა პროფესიულ ვალდებულებებთან, მათ შორის კლიენტის ინტერესების უპირატესობის პრინციპთან ან სასამართლოს მიმართ არსებულ ვალდებულებებთან, ასევე იმ ძირითად უფლებებთან, რომლითაც ადვოკატი, როგორც მოქალაქე, სარგებლობს. ადვოკატი ვალდებულია დააბალანსოს მისი პროფესიული მდგომარეობით ნაკისრი ვალდებულებები და კლიენტის დაცვა განახორციელოს ისე, რომ არ დაირღვეს პროცესის მონაწილისა თუ კოლეგის უფლებები. შესაბამისად, ადვოკატმა უნდა მოახერხოს სწორად შეაფასოს სიტუაცია და ეფექტური ლავირების საშუალებით არ დაარღვიოს არცერთი ზემოაღნიშნული პრინციპი.

5.5 მოცემულ შემთხვევაში, ადვოკატები ი. ა. და გ. გ. ადვოკატ შ. ე.-ს წინააღმდეგ იცავდნენ მის ყოფილ მეუღლეს ნ. ვ.-ს. ყოფილ ცოლ-ქმარს შორის სამოქალაქო დავა მიმდინარეობდა უძრავ ქონებასთან დაკავშირებით, ხოლო ადმინისტრაციულ დავა შ. ე.ს მიერ შემაკავებელი ორდერის გაუქმების მოთხოვნით. ასევე, შ. ე.ს წინააღმდეგ მიმდინარეობდა სისხლის სამართლის საქმე და მას ბრალად ედებოდა ნ. ვ.-ს მიმართ ძალადობა, რამაც გამოიწვია ფიზიკური ტკივილი. შ. ე.-ს პრეტენზია ადვოკატების მიერ ყველა ამ დავაში მისი ყოფილი მეუღლის წარმომადგენლობის განხორციელება იყო, მაშინ როდესაც შ. ე. მიიჩნევს, რომ ადვოკატებს შეეძლოთ მასთან ფაქტების გადამოწმება, რაც აარიდებდა მას სხვადასხვა სამართლებრივ დავაში მონაწილების მიღებას და რეპუტაციის შელახვას.

5.6 საპროცესო კოლეგია განმარტავს, რომ ადვოკატებს კლიენტის ინტერესების დაცვის დროს უწევთ ისეთი მოქმედებების განხორციელება რომელიც პროცესუალური მოწინააღმდეგე მხარის ინტერესებს ეწინააღმდეგება, რადგან ეს არის მხარეებს შორის არსებული დავის თანმდევი შედეგი. ადვოკატები ი. ა. და გ. გ. ვალდებულნი იყვნენ ემოქმედათ კლიენტის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე და ეს ინტერესი ბუნებრივია, რომ თანხვედრაში არ მოვიდოდა შ. ე.ს ინტერესებთან, ვინაიდან მოცემულ დავაში შ. ე. არ მონაწილეობდა როგორც ადვოკატი, ის იყო

მოწინააღმდეგე მხარე, რომელსაც შეეძლო საკუთარი ინტერესების დაცვა, როგორც დამოუკიდებლად, ასევე საკუთარი წარმომადგენლების დახმარებით.

5.7 კოლეგიალობის პრინციპი არ მოიაზრებს იმას, რომ ადვოკატს ეკისრება ვალდებულება მოწინააღმდეგე მხარეს - თუნდაც ადვოკატს შეატყობინოს და გადაამოწმოს მის წინააღმდეგ დაწყებული საქმის ავთენტურობა. შესაბამისად, ი. ა.-სა და გ. გ.-ს, როგორც ადვოკატებს არ ჰქონდათ რაიმე ვალდებულება, კლიენტის მოთხოვნების ნამდვილობა შალვა ერისთავთან გადაემოწმებინათ და ამ მოქმედების განუხორციელებლობა, მათ მიერ რომელიმე ეთიკური ვალდებულების დარღვევაზე არ მეტყველებს. ადვოკატების მხრიდან შესაძლოა ეთიკური ვალდებულების დარღვევას ჰქონოდა ადგილი მაშინ, როდესაც ისინი კლიენტის დაცვას შალვა ერისთავთან შეთანხმებით განახორციელებდნენ.

5.8 საპროცესო კოლეგია ასევე აღნიშნავს, რომ კოლეგიალობის პრინციპი არ არის დარღვეული შ. ე.ს მეორე პრეტენზიასთან მიმართებით, რომელიც ეხება მისი ყოფილი მეუღლის - ნ. ვ.-ს მხრიდან ხელშეკრულებაზე ხელმოწერის მოთხოვნას. მაშინ როდესაც, თავად საჩივრის ავტორი განმარტავს, რომ ყოფილმა მეუღლემ პირადად წარუდგინა მას ხელშეკრულება და შ. ე.-მა ხელშეკრულებას ხელი არ მოაწერა, შეუძლებელია ვიმსჯელოთ ადვოკატების მხრიდან რომელიმე ეთიკური ვალდებულების დარღვევაზე, რადგან ამ მოქმედებაში არ ფიგურირებს ადვოკატების რაიმე კანონსაწინააღმდეგო მოქმედება, ამასთან მხოლოდ ხელშეკრულების წარდგენას არ შეუძლია ზიანი მიაყენოს საჩივრის ავტორს.

5.9 საპროცესო კოლეგია ადვოკატის მიმართ დისციპლინურ დევნას დაიწყებს მაშინ, თუ საქმეში წარმოდგენილი გარემოებების დადგენის შემთხვევაში, სავარაუდოა ადვოკატის მიერ ,,ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 - მე-9 მუხლებით ან ,,ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის“ ნორმებით განსაზღვრული ადვოკატის პროფესიული ვალდებულებების დარღვევა.

5.10 მოცემულ შემთხვევაში, მხარეთა ახსნა-განმარტებებისა და საქმეში არსებული მტკიცებულებების მიხედვით არ დასტურდება ადვოკატების ირინა ამბროლაძისა და გ. გ.-ის მხრიდან კოლეგიალობის პრინციპის დარღვევა, რაც ნიშნავს იმას, რომ მათ მიმართ არ არსებობს დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

5.11 საპროცესო კოლეგიამ იხელმძღვანელა „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების 30–ე მუხლის მე–2 პუნქტით, 31–ე მუხლით და 40–ე მუხლის პირველი პუნქტით და გადაწყვიტა:

III სარეზოლუციო ნაწილი

1. დისციპლინურ საქმეზე #138/19 ადვოკატ ი. ა.-ისა /სიითი #4227/ და გ. გ.-ის მიმართ /სიითი #4227/ არ აღიძრას დისციპლინური დევნა.
2. გადაწყვეტილების ასლი ჩაბარდეთ მხარეებს.

3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /ია გაბედავა/

კოლეგიის წევრი: /არჩილ ჩოფიკაშვილი/

კოლეგიის წევრი: /ზესარიონ ბოხაშვილი/